აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

საქმიანობის ბიულეტენი

ნოემბერი, 2023

თემატიკა:

- ევროკომისიის რეკომენდაცია
- პლენარული სხდომა
- ბიუროს სხდომა
- კომიტეტის სხდომა
- საერთაშორისო ურთიერთობები
- სხვა აქტივობები

უმაღლესი საბჭოს საქმიანობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის აქტივობები, გადაწყვეტილებები, მიღებული სამართლებრივი აქტები და სხვა ღონისძიებები აისახება საინფორმაციო ბიულეტენში, რომელიც საშემოდგომო და საგაზაფხულო სესიების პერიოდში ყოველთვიურად გამოქვეყნდება.

ევროკომისიამ საქართველოს კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე დადებითი რეკომენდაცია გასცა.

„გილოცავთ!
ევროკომისიამ საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე დადებითი რეკომენდაცია გასცა. ვულოცავ ქართველ ხალხს, ევროპულ გზაზე, კიდევ ერთ გამარჯვებას. საქართველო, ისტორიულად, ევროპული ღირებულებების მატარებელია და მჯერა, სულ მალე გახდება, ამ დიდი, ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი“.

დავით გაბაიძე
აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე
08.11.2023

პლენარული სხდომა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

აჭარის უმაღლესმა საბჭომ 2023 წლის კორექტირებული რესპუბლიკური ბიუჯეტი დაამტკიცა

30 ნოემბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესმა საბჭომ, 2023 წლის კორექტირებული რესპუბლიკური ბიუჯეტი 12 ხმით დაამტკიცა. რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა, კანონის პროექტი ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა - ჯაბა ფუტკარაძემ წარმოადგინა.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილების პროექტის თანახმად, ბიუჯეტი 572 მილიონ 651 ათასი ლარით განისაზღვრა. ცვლილებები, ძირითადად, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებებს ეხება: 8 მილიონი ლარით გაიზარდა და 48 მილიონს აჭარბებს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბიუჯეტი, რაც „DRG“ პროგრამითა და მოქალაქეთა გაზრდილი მომართვიანობითაა განპირობებული. იზრდება ციტრუსის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსება. შედეგად, არასტანდარტულ მანდარინზე სახელმწიფო სუბსიდიის რაოდენობა 15-ის ნაცვლად, 25 თეთრით განისაზღვრა. მინისტრმა ისაუბრა რეგიონისთვის მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, პროგრამებზე, ქვეპროგრამებზე და უპასუხა კანონმდებელთა შეკითხვებს.

საბიუჯეტო ცვლილებებზე თანამოხსენება წარმოადგინა საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - მარინე გვიანიძემ, რომელმაც ჯანდაცვის პროგრამების გაზრდილ დაფინანსებაზე გაამახვილა ყურადღება.

სხდომას გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტები ესწრებოდნენ.

ბიუროს სხდომა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

ბიუროს სხდომა

2 ნოემბერი, 2023 წელი

უმაღლეს საბჭოში 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცედურები იწყება. შესაბამისი გადაწყვეტილება კანონმდებლებმა ბიუროს სხდომაზე მიიღეს, რომელსაც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა.

ბიურომ ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვასთან დაკავშირებითაც. განისაზღვრა წამყვანი კომიტეტი და განხილვის ვადები.

სხდომაზე ცნობად მიიღეს 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების მიმოხილვა, რომელიც საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - მარინე გვიანიძემ წარმოადგინა.

კომიტეტებში განსახილველად ჩაეშვა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილების პროექტი, რომელიც კანონმდებლებს, უმაღლესი საბჭოს წევრმა - გია აბულაძემ გააცნო.

განხილვის პროცედურები იწყება ორ საკანონმდებლო პაკეტზე: პირველი ინიციატივა უმაღლესი საბჭოს რეგლამენტსა და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონში ცვლილებას ითვალისწინებს, ხოლო მეორე - „ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და მათი მართვის შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებასა და დადგენილების პროექტს მოიცავს, რომელიც საკანონმდებლო ინიციატივის პარლამენტში წარდგენას გულისხმობს.

სხდომაზე ორივე პაკეტი საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - ლადო მგალობლიშვილმა წარმოადგინა. ბიურომ მხარი დაუჭირა, მის მიერ, სხდომაზე გამოტანილი კიდევ ერთი საკითხის - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ კანონის ცვლილების პროექტისთვის ვადის გაგრძელებას.

ბიუროს სხდომა

22 ნოემბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლეს საბჭოში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილების თაობაზე კანონპროექტის განხილვის პროცედურები იწყება. შესაბამისი გადაწყვეტილება ბიუროს დღევანდელ სხდომაზე მიიღეს, რომელსაც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა.

ბიურომ ცნობად მიიღო აჭარის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვა, მხარი დაუჭირა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტზე, წამყვანი კომიტეტისათვის, განხილვის ვადის 90 დღით გაგრძელებას.

სამივე საკითხი, კანონმდებლებს, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - მარინე გვიანიძემ წარუდგინა.

ბიუროს წევრებმა, პლენარული სხდომისთვის, მომზადებულად ჩათვალეს საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ რეგლამენტის პროექტს და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროეტს მოიცავს.

ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღეს კიდევ ერთ საკანონმდებლო პაკეტზე, რომელიც „ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და მათი მართვის შესახებ“ კანონპროექტს და დადგენილების პროექტს მოიცავს, რომელიც საკანონმდებლო ინიციატივის პარლამენტში წარდგენას გულისხმობს.

ორივე საკითხი, სხდომას, საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ლადო მგალობლიშვილმა წარუდგინა.

ბიუროს სხდომა

28 ნოემბერი, 2023 წელი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილება უმაღლესი საბჭოს უახლოეს პლენარულ სხდომაზე განიხილება.

გადაწყვეტილება კანონმდებლებმა ბიუროს სხდომაზე მიიღეს, რომელსაც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა.

საკითხი ბიუროს წევრებს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - მარინე გვიანიძემ წარუდგინა. მისი განცხადებით, კანონის პროექტზე დასრულდა საკომიტეტო განხილვის პროცედურები და მომზადებულია შესაბამისი დასკვნები.

კომიტეტის სხდომა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომა

10 ნოემბერი, 2023 წელი

„პირველ რიგში მინდა მოგილოცოთ, საქართველოსათვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებაზე ევროკომისიის მიერ გაცემული დადებითი რეკომენდაცია. ეს არის კარგი, ზოგადად ქვეყნისთვის, განვითარებისთვის და ეს არის ის, რისკენაც მივდიოდით ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერიდან, განაცხადის შეტანიდან, დღემდე. წარმატებას ვუსურვებ ჩვენს ქვეყანას და თითოეულ თქვენგანს“ - განაცხადა უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - ილია ვერძაძემ კომიტეტის სხდომაზე, რომელზეც „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის“ კანონპროექტი და 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი და 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულება განიხილეს.

კანონმდებლებს, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის“ კანონპროექტი და პრიორიტეტების დოკუმენტი, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა წარუდგინა. ჯაბა ფუტკარაძის განცხადებით, რეგიონის ბიუჯეტმა პირველად გადააჭარბა ნახევარ მილიარდიან ნიშნულს და 700 მილიონ ლარზე მეტი იქნება.

მისივე აღნიშვნით, იზრდება, როგორც მხარჯავი დაწესებულებების ბიუჯეტი, ისე მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი ტრანსფერის მოცულობა, რომელიც 241 მილიონ ლარი იქნება. გათვალისწინებულია ისეთი მსხვილი პროექტების, პროგრამების დაფინანსება, როგორიცაა: სოციალური სახლების, „ოცნების ქალაქის“, გზების, სკოლების, სპორტული მოედნების მშენებლობა, პედაგოგებისა და სტუდენტების მხარდაჭერა, სამედიცინო ინფრასტრუქტურის შექმნა-განვითარება, გაზიფიკაცია და სხვა.

თანამომხსენებლის - ნინო ნიჟარაძის განცხადებით, 2024 წელს ჯანდაცვის ბიუჯეტი 11 მლნ ლარით იზრდება და ჯამში 51 მილიონს აჭარბებს. აქედან, მნიშვნელოვანი ნაწილი - 25 მილიონზე მეტი, გათვალისწინებულია ჯანდაცვის სერვისების დაფინანსებისთვის. იზრდება - ონკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის, ღვიძლისა და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის, უშვილობის, გულის ქირურგიის, მედიკამენტოზური მკურნალობის, პირველადი ჯანდაცვის სერვისების დაფინანსება. მატულობს სოციალური პროგრამების ბიუჯეტიც.

კომიტეტმა მხარი დაუჭირა ბიუჯეტის პროექტზე რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურების გაგრძელებას.
დღესვე, კანონმდებლემა მოისმინეს და ცნობად მიიღეს აჭარის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვა.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა და აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტების ერთობლივი სხდომა

10 ნოემბერი, 2023 წელი

უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა და აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონის პროექტი და ბიუჯეტის შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი განიხილეს. კანონპროექტი, კანონმდებლებს, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა - ჯაბა ფუტკარაძემ წარუდგინა. მისი განცხადებით, რესპუბლიკური ბიუჯეტი, გასულ წელთან შედარებით, 99 მილიონ 799 ათასი ლარით იზრდება და 700 მილიონს აღემატება.

მინისტრმა ისაუბრა 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებზე, მსხვილ საინვესტიციო და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, პროგრამებსა და დაგეგმილ სიახლეებზე. მისი განცხადებით, იზრდება როგორც საბიუჯეტო ორგანიზაციების დაფინანსება, ასევე მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი სპეციალური ტრანსფერების მოცულობა. ბიუჯეტის ფარგლებში დაგეგმილია ტურისტული ლოკაციების - მთა ჩირუხის, გომარდულის და გოდერძის განვითარება. განხორციელდება „ოცნების ქალაქის“ მშენებლობის მეორე ეტაპი, რომლისთვისაც 17 მილიონი ლარია გამოყოფილი, გაგრძელდება სოციალური სახლების მშენებლობა, გაზიფიკაცია და სხვა.

თანამომხსენებელმა, განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, ისაუბრა განათლების მიმართულებით განსახორციელებელ პროგრამებზე, პროექტებსა და სიახლეებზე. მაია ხაჯიშვილის განცხადებით, განათლების სამინისტროს ბიუჯეტი იზრდება 15 მილიონი ლარით და 132 მილიონს აჭარბებს, რომლის ფარგლებში დაგეგმილია - ახალი სკოლების, ბაღების, სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია, პედაგოგებისა და სტუდენტების ხელშეწყობა, სპორტული ფედერაციებისა და, კულტურული პროექტების დაფინანსების ზრდა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტის პარამეტრები, კანონმდებლებს, სოფლის მეურნეობის მინიტრმა - ზაზა შავაძემ გააცნო. მისი განცხადებით, სამინისტროს მომდევნო წლის ბიუჯეტი 31 მილიონ ლარზე მეტი იქნება, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია: სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, საოჯახო მეურნეობების განვითარება, სამელიორაციო არხების რეაბილიტაცია, ახალგაზრდების ხელშეწყობა, აგრომეწარმეებისა და აგროფერმერების, არასტანდარტული ციტრუსის მხარდაჭერა, მეფუტკრეობის განვითარება, ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოების ხელშეწყობა, ხარისხიანი პროდუქციის წარმოება, ევროპულ სტანდართებთან შესაბამისობაში მოყვანა და სხვა.

კითხვა-პასუხის შემდეგ, კომიტეტებმა, მხარი დაუჭირეს, ბიუჯეტის პროექტზე რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურების გაგრძელებას არსებული შენიშვნების გათვალისწინებით. დღესვე, ორი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე, მოისმინეს და ცნობად მიიღეს - 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხილვა.

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის სხდომა

10 ნოემბერი, 2023 წელი

საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე ევროკომისიის მიერ გაცემული დადებითი რეკომენდაციის მილოცვით დაიწყო, უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - ცოტნე ანანიძემ, ამავე კომიტეტის სხდომა, რომელზეც „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონის პროექტი და ავტონომიური რესპუბლიკის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი განიხილეს.

კანონის პროექტის შესახებ მოხსენება, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა წარმოადგინა. ჯაბა ფუტკარაძის განცხადებით, 2024 წლის ბიუჯეტი, გასულ წელთან შედარებით, 16.57%-ით იზრდება და საერთო მოცულობა 700 მილიონს აჭარბებს. ზრდა გამოწვეულია ორი მნიშვნელოვანი კომპონენტით - დასაქმებულთა რაოდენობისა და დასაქმებულთა სახელფასო სალდოების მატებით.

მომხსენებელმა ისაუბრა ძირითად საბიუჯეტო პარამეტრებზე, საინვესტიციო და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, პროგრამებსა და დაგეგმილ სიახლეებზე. მოხსენების შემდეგ, უპასუხა კანონმდებელთა შეკითხვებს.

კომიტეტმა მხარი დაუჭირა კანონის პროექტზე რეგლამენტით გათვალისწინებული შემდგომი პროცედურების გაგრძელებას. სხდომაზე, აჭარის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვის შესახებ ინფორმაცია, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა - ჯაბა ფუტკარაძემ წარმოადგინა. მისი თქმით, სამი კვარტლის მონაცემებით, 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები 98%-ით, შემოსავლები კი 108%-ით შესრულდა.

კომიტეტმა წარმოდგენილი მიმოხილვა ცნობად მიიღო.

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომა

13 ნოემბერი, 2023 წელი

უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც ამავე კომიტეტის თავმჯდომარე - ლადო მგალობლიშვილი უძღვებოდა, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონის პროექტი და ბიუჯეტის შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი განიხილეს. კანონპროექტის თანახმად, მომავალი წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი, გასულ წელთან შედარებით, 99 მილიონ 799 ათასი ლარით იზრდება და 700 მილიონზე მეტი იქნება.

შესაბამისი მოხსენება, კანონმდებლებს, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა - ჯაბა ფუტკარაძემ წარუდგინა. მისი თქმით, ბიუჯეტის მატება განაპირობა ორმა ძირითადმა კომპონენტმა - დასაქმებულთა რაოდენობისა და სახელფასო სალდოების ზრდამ. მინისტრმა ისაუბრა: ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებზე, საინვესტიციო და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, ჯანდაცვისა და სოციალური, განათლების, კულტურისა და სპორტის მიმართულებით განსახორციელებელ პროგრამებზე, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებებზე, მაღალმთიან აჭარაში, ტურისტული ლოკაციების და შესაბამისი ინფარსტრუქტურის მოწყობასა და სხვა სიახლეებზე.

კომიტეტმა მხარი დაუჭირა, 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტზე კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების გაგრძელებას.

დღესვე, კომიტეტის წევრებმა, განიხილეს და უახლოესი პლენარული სხდომისთვის მომზადებულად ჩათვალეს საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც მოიცავს უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტს და უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონპროექტს. საკითხი, სხდომაზე, მისმა ერთ-ერთმა ავტორმა - ლადო მგალობლიშვილმა წარმოადგინა და აღნიშნა, რომ პროექტის მიზანია, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული თანამდებობის პირების არჩევის/დანიშვნაზე თანხმობის მიცემის ფარული კენჭისყრის ფორმის ღია კენჭისყრით შეცვლა.

კომიტეტმა პირველი მოსმენით განიხილა, კიდევ ერთი საკანონმდებლო პაკეტი. კანონპროექტი - ,,ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და მათი მართვის შესახებ“ და უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი, საკანონმდებლო ინიციატივის წესით, „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ - საქართველოს კანონის პროექტის პარლამენტში წარდგენის შესახებ, კომიტეტის წევრებს ლადო მგალობლიშვილმა წარუდგინა. მისი განცხადებით ცვლილების მიზანია - საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული ზემოაღნიშნული საკითხი.

2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტი საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე განიხილეს

15 ნოემბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც ამავე კომიტეტის თავმჯდომარე - მარინე გვიანიძე უძღვებოდა, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ'' კანონპროექტი და ავტონომიური რესპუბლიკის 2024–2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი განიხილეს. კანონპროექტის თანახმად, მომავალი წლის ბიუჯეტი, 700 მილიონ ლარს აჭარბებს.
კომიტეტის წევრებს, შესაბამისი მოხსენება ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა - ჯაბა ფუტკარაძემ წარუდგინა. ისაუბრა 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებზე, მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, პროგრამებსა და დაგეგმილ სიახლეებზე.

2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- უმაღლესი საბჭო - 7 519 300 ლარი;
- უმაღლესი საარჩევნო კომისია - 4 097 100 ლარი;
- მთავრობა - 5 614 200 ლარი;
- ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო - 139 763 900 ლარი;
- განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - 132 121 800 ლარი;
- ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - 51 255 000 ლარი;
- სოფლის მეურნეობის სამინისტრო - 31 044 900 ლარი;
-

35.8 მილიონი ლარით იზრდება მუნიციპალიტეტებზე გადასაცემი სპეციალური ტრანსფერის მოცულობა და 241 მილიონი იქნება.

კითხვა-პასუხის შემდეგ, კომიტეტმა, მხარი დაუჭირა 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტზე რეგლამენტით გათვალისწინებული შემდგომი პროცედურების გაგრძელებას.
დღესვე, კანონმდებლებმა, მოისმინეს და ცნობად მიიღეს ინფორმაცია - 2023 წლის აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვის შესახებ დასახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა - ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ'' კანონპროექტის თაობაზე.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა და საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტების ერთობლივ სხდომა

24 ნოემბერი, 2023 წელი

უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა და საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე 2023 წლის კორექტირებული რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტი განიხილეს.

კანონის პროექტი ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა წარმოადგინა. ჯაბა ფუტკარაძის განცხადებით, ბიუჯეტი 572 მილიონ 651 ათასი ლარით განისაზღვრება და ცვლილებები, ძირითადად, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებებს ეხება.

მომხსენებლის განმარტებით, 8 მილიონით იზრდება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბიუჯეტი, რაც ე.წ. DRG პროგრამითა და მოქალაქეთა გაზრდილი მომართვიანობითაა განპირობებული. უწყების კორექტირებული ბიუჯეტი, პროექტის თანახმად, 48 მილიონ ლარს აჭარბებს.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, პროექტის თანახმად, იზრდება ციტრუსის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსება, რაც არასტანდარტულ მანდარინზე სუბსიდირების გაორმაგებას გულისხმობს.

კომიტეტებმა, კანონის პროექტთან დაკავშირებით, რეგლამენტით გათვალისწინებული შემდგომი პროცედურების გაგრძელებას მხარი დაუჭირეს.

ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები განიხილეს უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტში

24 ნოემბერი, 2023 წელი

აჭარის 2023 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები განიხილეს უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტში. სხდომაზე, კანონის პროექტთან დაკავშირებით, მოხსენება ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა წარმოადგინა.

ჯაბა ფუტკარაძის განცხადებით, ცვლილებები, ძირითადად, ორი მიმართულებით ხორციელდება - იზრდება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბიუჯეტი, ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროს ციტრუსის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსება. შედეგად, ფერმერები, არასტანდარტულ მანდარინზე გაორმაგებულ სუბსიდიას მიიღებენ. მომხსენებელმა ისაუბრა მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და უპასუხა კანონმდებელთა შეკითხვებს.

კომიტეტმა მხარი დაუჭირა კანონის პროექტზე რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურების გაგრძელებას.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტების სხდომა

24 ნოემბერი, 2023 წელი

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტებმა, აჭარის 2023 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში შესატან ცვლილებებზე შემდგომი პროცედურების გაგრძელებას მხარი დაუჭირეს. გადაწყვეტილება კანონმდებლებმა ერთობლივ სხდომაზე მიიღეს.

კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, სხდომაზე, ამჯერადაც ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა, ჯაბა ფუტკარაძემ წარმოადგინა.

პროექტის თანახმად, 8 მილიონ ლარზე მეტით იზრდება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბიუჯეტი, რომელიც 48 მილიონს გადააჭარბებს.

კორექტირებული ბიუჯეტის პროექტის წარდგენის შემდეგ, მინისტრმა უპასუხა კომიტეტების წევრების შეკითხვებს.

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომა

27 ნოემბერი, 2023 წელი

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტმა მხარი დაუჭირა 2023 წლის აჭარის კორექტირებული რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის უმაღლესი საბჭოს უახლოეს სხდომაზე განხილვას. გადაწყვეტილება კანონმდებლებმა კომიტეტის სხდომაზე მიიღეს.

კანონის პროექტი აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა წარმოადგინა. ჯაბა ფუტკარაძის განცხადებით, ბიუჯეტი 572 მილიონ 651 ათასი ლარით განისაზღვრება და ცვლილებები, ძირითადად, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებებს ეხება.

მომხსენებლის განმარტებით, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბიუჯეტის ცვლილება, ე.წ. DRG პროგრამითა და მოქალაქეთა გაზრდილი მომართვიანობითაა განპირობებული და პროექტის თანახმად, 48 მილიონ ლარს აჭარბებს.

ჯაბა ფუტკარაძის განმარტებით, იზრდება ციტრუსის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსება და ერთ კილოგრამ არასტანდარტულ მანდარინზე სახელმწიფო სუბსიდიის ოდენობა 25 თეთრით განისაზღვრება.

მომხსენებელმა ისაუბრა ინფრასტრუქტურულ პროგრამებზე, პროექტებზე და უპასუხა წამყვანი კომიტეტის წევრთა კითხვებს.

სამუშაო შეხვედრები, სხვა აქტივობები

„ბათუმის ავტოტრანსპორტის“ წარმომადგენლებს პროფესიული დღე მიულოცეს

1 ნოემბერი, 2023 წელი

ტრანსპორტელების კვირეულთან დაკავშირებით, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ - ტიტე არაშიძემ, აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან, თორნიკე რიჟვაძესთან, უმაღლესი საბჭოს წევრთან-ილია ვერძაძესთან და ქალაქ ბათუმის მერთან, არჩილ ჩიქოვანთან ერთად, შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ წარმომადგენლებს პროფესიული დღე მიულოცა.

„ტრანსპორტი, ნებისმიერ ქვეყანაში, ამა თუ იმ რეგიონისა და ქალაქის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათია. მოწესრიგებული ავტოტრანსპორტი არა მხოლოდ კომფორტული გადაადგილების საშუალება, არამედ ეკონომიკის ძლიერების მნიშვნელოვანი ბერკეტიცაა. ვფიქრობ, ბოლო წლებში ჩვენს ქალაქში ამ კუთხით ბევრი რამ შეიცვალა უკეთესობისკენ და ეს პროცესი სამომავლოდაც გაგრძელდება. ვულოცავ ავტოტრანსპორტელებს დღესასწაულს და შემდგომ წარმატებებს ვუსურვებ როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ისე პირად ცხოვრებაში“, - აღნიშნა ტიტე არაშიძემ.

ტრანსპორტელთა კვირეულის აღსანიშნავად, „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ 40-მდე მძღოლი და ავტოტრანსპორტის თანამშრომელი მადლობის სიგელით დაჯილდოვდა.

მასწავლებლების დაჯილდოება ხელვაჩაურში

04 ნოემბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე, უმაღლესი საბჭოს წევრები - ფრიდონ ფუტკარაძე, მარინე გვიანიძე და ნადიმ ვარშანიძე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის აქტიური და ღვაწლმოსილი პედაგოგების დაჯილდოებას დაესწრნენ, მასწავლებლებს პროფესიული დღე მიულოცეს, მრავალწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობისთვის მადლობა გადაუხადეს და წარმატებები უსურვეს.

ღონისძიებაზე, საგანმანათლებლო სფეროს განვითარებასა და მომავალი თაობების აღზრდაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის 58 პედაგოგი დაჯილდოვდა. საჯარო სკოლების, სამუსიკო სკოლებისა და საბავშვო ბაღების მასწავლებლებს მადლობის სიგელები და ფასიანი საჩუქრები საკანონმდებლო, აღმასრულებელი და ადგილობრივი ხელისუფლების, ხელვაჩაურის რესურსცენტრის წარმომადგენლებმა გადასცეს.

დაჯილდოება, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით, ყოველწლიურად იმართება.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს მათ მიერ ინიცირებული კანონპროექტი გააცნეს

14 ნოემბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები, აჭარაში მოღვაწე, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს შეხვდნენ და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“, მათ მიერ ინიცირებული კანონპროექტი გააცნეს.

შეხვედრაზე, კანონპროექტის ინიცირების მიზეზების, მიზნებისა და ამოცანების შესახებ პრეზენტაცია გია აბულაძემ წარადგინა. მისი განცხადებით, კანონპროექტის ძირითადი პრინციპებია: საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის გაზრდა, გენდერული ბიუჯეტირება და დისკრიმინაციის აღმოფხვრა, რეგიონის საჭიროებებზე ორიენტირებული საბიუჯეტო პროცესის ფორმირება, კვალიფიციური ანგარიშგების მექანიზმების დანერგვა.

აღნიშნული კანონპროექტის საჯარო განხილვისა და ფართო საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები, ხვალ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდებიან.

სტუდენტური პროექტის - „ვიზიტების“ მონაწილეები აჭარის უმაღლეს საბჭოში

15 ნოემბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე, თავმჯდომარის მოადგილე - ტიტე არაშიძე, ადამიანის უფლებათა დაცვისა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტების თავმჯდომარეები - ცოტნე ანანიძე და დავით ბაციკაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტის - „ვიზიტების“ მონაწილე სტუდენტებს, „რუსთაველის“ კლუბის წევრებს შეხვდნენ.

დავით გაბაიძემ, ახალგაზრდებს, საკანონმდებლო ორგანოს სტრუქტურა, უფლებამოსილებები, საქმიანობის ძირითადი პრინციპები, ბოლო წლებში, ინსტუტუციური გაძლიერებისა და ღია მმართველობის მექანიზმების დანერგვის კუთხით გატარებული რეფორმები გააცნო. სტუდენტებს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მათი ჩართულობის, სამოქალაქო აქტიურობის, პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში მონაწილეობის როლზე ესაუბრა ტიტე არაშიძე და საკანონმდებლო საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად, უმაღლეს საბჭოში არსებული სიახლეები გააცნო.

ცოტნე ანანიძემ ყურადღება გაამახვილა ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესების კუთხით განხორციელებულ ცვლილებებსა და არსებულ გამოწვევებზე. მისი თქმით, ევროპული კულტურა მთლიანად დაფუძნებულია ადამიანის ღირებულებებზე, რომელთაც სრულად იზიარებს საქართველო - ეს მკაფიოდაა ასახული საქართველოს კონსტიტუციაში და გამოხატულია ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაციის რატიფიცირებით.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ევროპის რეგიონთა ასამბლეის (AER) ვიცე პრეზიდენტმა - დავით ბაციკაძემ საქართველოს ევროპულ პერსპექტივებზე, ამ პროცესში რეგიონის, მისი წარმომადგენლობითი ორგანოს როლსა და ახალგაზრდების ცოდნის გაღრმავების ხელშემწყობ პროგრამებზე ისაუბრა, რომელთა ფარგლებშიც სტუდენტებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში.

შეხვედრაზე ისაუბრეს ევროინტეგრაციის გზაზე მიღწეულ შედეგებზე, არსებულ გამოწვევებსა და ევროპულ სტრუქტურებში გასაწევრიანებლად ქვეყნის სამოქმედო გეგმაზე. კითხვა-პასუხის შემდეგ, სტუდენტებმა დაათვალიერეს უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციული შენობა, ჩართულობის ცენტრი და სხდომათა დარბაზი, გაეცნენ ახალი ვებპლატფორმა chaerte.sca.ge-ის საშუალებით დანერგილ ონლაინ სერვისებსა და სიახლეებს.

"პირველი ავტოგრაფის" გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ

27 ნოემბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, დავით გაბაიძე საყმაწვილო-სასკოლო დასების თეატრალური ფესტივალის - „პირველი ავტოგრაფი“ დახურვის საზეიმო ღონისძიებას დაესწრო. გამარჯვებულები ფესტივალის მთავარი პრიზით - „არლეკინით“ დაჯილდოვდნენ.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ორგანიზებული ფესტივალი ქალაქ ბათუმში მესამედ ჩატარდა. მასში რეგიონის ექვსივე მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლებში მოქმედი თეატრალური დასები მონაწილეობდნენ. მოსწავლეების შემოქმედება საგანგებოდ შერჩეულმა ჟიურიმ შეაფასა.

საერთაშორისო ურთიერთობები

ლადო მგალობლიშვილი ევროპის საბჭოს - „დემოკრატიის მსოფლიო ფორუმში" მონაწილეობს

7 ნოემბერი, 2023 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - ლადო მგალობლიშვილი, სტრასბურგში, ევროპის საბჭოში „დემოკრატიის მსოფლიო ფორუმში'' მონაწილეობს.

„დემოკრატია და მშვიდობა'' - ამ სლოგანით მიმდინარე ფორუმის მთავარი თემებია: დიალოგის ხელოვნება, კონფლიქტის გადაწყვეტის თანამედროვე მიდგომები, სოციალური თანასწორობა, მშვიდობიანი საზოგადოება და სხვა აქტუალური საკითხები.

ფორუმში, რომელიც ყოველწლიურად იმართება, მონაწილეობენ - პოლიტიკოსები, მეცნიერები, დიპლომატები, ჟურნალისტები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები 30 ქვეყნიდან.

ტიტე არაშიძე და დავით ბაციკაძე, ევროოდისეის ფორუმში მონაწილეობენ

8 ნოემბერი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - ტიტე არაშიძე, უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, ევროპის რეგიონული ასამბლეის (AER) ვიცე პრეზიდენტი - დავით ბაციკაძე, უსკო-ს თავმჯდომარესთან - პარმენ ჯალაღონიასთან ერთად, პორტუგალიაში, ევროოდისეის ფორუმში მონაწილეობენ.

“ევროოდისეის ფორუმი 2023”, რომელშიც პოლიტიკოსები, საჯარო მოხელეები და ახალგაზრდები მონაწილეობენ, AER-ის ვიცე პრეზიდენტმა - დავით ბაციკაძემ, ევროოდისეის პრეზიდენტმა - ესტერ ესტანმა, AER-ის პრეზიდენტმა - ალბერტ კასტელანოს მადუელმა, AER-ის გენერალურმა მდივანმა - კრისირან სპაჰრმა და აზორის ავტონომიური რესპუბლიკის პრეზიდენტის სამდივნოს წარმომადგენელმა (ასევე წარმომადგენელი Council of Europe-ში) - პედრო დე ფარია ე კასტრომ გახსნეს.

დავით ბაციკაძემ, მისასალმებელ სიტყვაში, ისაუბრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის როლზე AER-ისა და ევროოდისეის მუშაობაში, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით და ღია მმართველობის ევროპული სტანდარტების დამკვიდრებით მიღებულ დადებით შედეგებზე, აჭარისა და აზორის ავტონომიური რესპუბლიკების თანამშრომლობის მნიშვნელობაზე. ყურადღება გაამახვილა, მომავალ წელს, ბათუმში დაგეგმილი შავი ზღვის ფორუმისა და გენერალური ასამბლეის ფარგლებში განსახილველ საკითხებზე.

ფორუმის ფარგლებში, გაიმართა თაობათაშორისი რეგიონული დებატები თემაზე - „2024 წლის ევროპის არჩევნები“. როგორც აღინიშნა, ეს დებატები, 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნების წინ, კარგი შესაძლებლობაა ევროპის წინაშე არსებული ძირითადი გამოწვევების განსახილველად, უფრო დემოკრატიული, ინკლუზიური და მდგრადი გარემოს შესაქმნელად.

6-9 ნოემბრის ფორუმზე, რომელიც მოიცავს პლენარულ სესიებს, ვორქშოფებს, სემინარებს, დებატებსა და ცალკეულ შეხვედრებს, განსახილველ საკითხებს შორისაა სოფლად და პერიფერიულ ზონებში მცხოვრები ახალგაზრდების მობილობის, მათი უნარების განვითარების ხელშეწყობა, პროფესიული უნარ-ჩვევების განმტკიცება. სწორედ ამ მიზნებს ემსახურება ევროპის რეგიონთა ასამბლეის ახალგაზრდების გაცვლითი პროგრამა „ევროოდისეა”, რომელსაც აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო 2006 წლიდან ახორციელებს. უცხოეთში სტაჟირების პროგრამით, ყოველწლიურად, არაერთი ახალგაზრდა სარგებლობს.

- ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის დღე - 19.11.2023
- “შემოდგომა ქედაში” - 19.11.2023
- სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის მე-9 კლასელთა ექსკურსია უმაღლეს საბჭოში - 21.11.2023
- საერთაშორისო ახალგაზრდული ფორუმი - „დიალოგი 2023'' - 22.11.2023
- გიორგობა - 23.11.2023
- 6 წელი ლეოგრანდის ტრაგედიიდან - 24.11.2023

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

sca.ge

chaerte.sca.ge